ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა** **Linguistic and Literary Studies**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**ფილოლოგიის დოქტორი** **PhD in Philology**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	3-5 წელი (6-10 სემესტრი), 42 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამის ხელმღვანელები	ირინა ლობჟანიძე, პროფესორი ბელა წიფურია, პროფესორი ლევან ცაგარელი, პროფესორი რეზო მარსაგიშვილი, პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში;
- ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და მის მიერ სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ/გერმანულ ენაში მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურების მიზნით, ან:
  - ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 65 points); IELTS (at least 5.5 points); FCE);
  - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე;
  - გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (Test Deutsch als Fremdsprache; DSH (Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang); ZOP (Zentrale Oberstufenprüfung); KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom); GDS (Grosses Deutsches Sprachdiplom). გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში აპლიკანტი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას მინიმუმ B1 დონეზე;
  - ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა*;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა.

* უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

ინფორმაცია დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ, სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.

სადოქტორო პროგრამის კონცეფცია/დახასიათება

ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები ინტერდისციპლინური პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც ფილოლოგიის ეს ორი ტრადიციული დარგი ერთიანდება საერთო საკვლევი ობიექტის ირგვლივ. კვლევის ობიექტს განეკუთვნება სხვადასხვა ენობრივი სტრუქტურა და/ან პროცესი, ფიქციური, ნახევრადფიქციური და ფაქტუალური ტექსტები, ტექსტთა კოლექციები და/ან კორპუსები და დისკურსები. ორივე დარგისთვის საერთოა ენობრივი ობიექტების გაგება კულტურის (იდენტობის, აზროვნების, მსოფლაღქმის, ღირებულებათა სისტემის, იდეოლოგიის, ცოდნის) რეპრეზენტაციის დონეზე და, ამრიგად, ენობრივ ობიექტების შესასწავლად მათი კონტექსტუალიზაციის აუცილებლობის გაცნობიერება. სწორედ ამ საერთო წანამძღვრებზე დაყრდნობით წინამდებარე სადოქტორო პროგრამაში უზრუნველყოფილია ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული მონაპოვრისა და ანალიტიკური მიდგომების ურთიერთგაცვლა და სინთეზი. შესაბამისად, პროგრამის კვლევის ფოკუსიც ორ ძირითად ნაწილად იყოფა:

1. ენათმეცნიერული კვლევა, რომლის სამიზნეა: ა) ზოგადი ენათმეცნიერება (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა და სხვ.); ბ) გამოყენებითი ენათმეცნიერება (შეპირისპირებითი ენათმეცნიერება, კორპუსის ენათმეცნიერება, სტილისტიკა და სხვ.); გ) ინტერდისციპლინული კვლევები (სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვ.).
2. ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევა, რომლის სამიზნეა 1) ქართული ლიტერატურის კვლევა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში კომპარატივისტული მიდგომების გამოყენებით (ინტერტექსტუალობის თეორია, ლიტერატურის შედარებითი ისტორია, რეცეფციის თეორია, ჟანრების შედარებითი თეორია, თემატოლოგია, ლიტერატურული თარგმანის შედარებითი ანალიზი, ინტერდისკურსის ანალიზი, იმაგოლოგია, კულტურათშორისი ჰერმენევტიკა, ინტერმედიალობის თეორიები); 2) ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კვლევა უახლესსა და ინტერდისციპლინურ თეორიულ პარადიგმებზე დაყრდნობით (პოსტკოლონიური თეორია, მეხსიერების თეორია, შესაძლებელ და ალტერნატიულ სამყაროთა თეორია, ლიტერატურის სოციოლოგია, გენდერული და ფემინისტური თეორია, კლასიკური და პოსტკლასიკური ნარატოლოგია და სხვა).

სადოქტორო პროგრამის მისიაა გააღრმავოს და გააფართოვოს ადგილობრივ დონეზე არსებული ენათმეცნიერული და ლიტერატურმცოდნეობითი კვლევის შესაძლებლობები, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო მიდგომებს და უახლეს ტენდენციებს. შესაბამისად, ის ორიენტირებულია უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნას მაღალი ხარისხის კვლევითი გარემო.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შექმნილი ახალი ცოდნის დისემინაცია როგორც ადგილობრივ, ისე დასავლურ სამეცნიერო სივრცეში საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიების სახით, ასევე, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ცოდნის

გავრცელება უცხოეთში გამოცემული მონოგრაფიებისა და საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების სახით, რითაც, ერთი მხრივ, გაუმჯობესდება ქართული მეცნიერების ცნობადობა საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებაში, მეორე მხრივ, კი უზრუნველყოფილი იქნება ახალი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომების გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში და ამით ქართული და დასავლური აკადემიური სივრცეების ურთიერთდაახლოება.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საერთაშორისო თანამშრომლობა შემდეგ საერთაშორისო ექსპერტებთან:

- **ლიტერატურათმცოდნეობის** მიმართულებით: პროფ. დავიდ აიერსი, კენტის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი; პროფ. გიუნტერ ბერგჰაუსი, ბრისტოლის უნივესიტეტი, დიდი ბრიტანეთი; პროფ. მირია ლეკე, რეგენსბურგის უნივერსიტეტი, გერმანია; პროფ. ალექსის ნუსელოვიჩი, ექსი- მარსელის უნივერსიტეტი, საფრანგეთი;
- **ენათმეცნიერების** მიმართულებით: პროფ. კარინა ვამლინგი, მალმოს უნივერსიტეტი; პროფ. უინფრიდ ბოედერი, ოლდენბურგის უნივერსიტეტი, პროფ. დონალდ რეიფილდი, ლონდონის უნივერსიტეტი, პროფ. მარია პოლინსკი, მერილენდის უნივერსიტეტი; პროფ. ლეა ნეში, უნივერსიტეტი პარიზ 8; პროფ. ჟილ უტიე, უმაღლესი სწავლების პრაქტიკული სკოლა; პროფ. ლეო ლეონარდი, მონპელიეს უნივერსიტეტი; პროფ. სტავროს სკოპეტეას, გიოტინგენის უნივერსიტეტი; პროფ. როლანდ პფაუ, ამსტერდამის უნივერსიტეტი; პროფ. მარკუს შსტეინბახი, გიოტინგენის

უნივერსიტეტი; პროფ. კარლო კეჩეტო, მილან-ბიკოკას უნივერსიტეტი; პროფ. ვენდი სანდლერი, ჰაიფას უნივერსიტეტი; პროფ. ჯონანა მეში, სტოკჰოლმის უნივერსიტეტი; პროფ. ვადიმ კიმელმანი, ბერგენის უნივერსიტეტი.

საერთაშორისო ექსპერტები პროგრამაში ჩაერთვებიან შემდეგი მიმართულებებით:

- პროგრამის კურიკულუმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კონსულტირება დარგში არსებული მიღწევებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;
- საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში დოქტორანტებისა და პროფესორების ჩართვის ხელშეწყობა;
- დოქტორანტების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა;
- ვორქშოპებისა და ტრენინგების ორგანიზება;
- სადოქტორო ნაშრომებზე და სამეცნიერო სტატიებზე მუშაობისას დოქტორანტების კონსულტირება და ხელშეწყობა.

სადოქტორო პროგრამის შემუშავება მოხდა მსგავსი ტიპის პროგრამების შესწავლის გზით და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რუმინეთის ალბა იულიას უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე, ჩეხეთის ოსტრავას უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე და დიდი ბრიტანეთის ოქსფორდის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების, ფილოლოგიისა და ფონეტიკის სადოქტორო პროგრამებზე.

პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტს აძლევს უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობას კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევის პროფილები იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/EpjR6

პროგრამის მიზნები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია, აქტუალური დასავლური სამეცნიერო მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით სამეცნიერო ცოდნის შექმნა ენობრივი, ტექსტობრივი და დისკურსული წარმონაქმნების ნაციონალური, ინტერკულტურული და ტრანსკულტურული ასპექტების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად დოქტორანტები დაეყრდნობიან უახლეს თეორიულ მიღწევებს ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის რომელიმე დარგში (პრაგმალინგვისტიკა, ლინგვისტური სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურსის ლინგვისტიკა, კორპუსის ლინგვისტიკა, კომპიუტერული ფილოლოგია, სტრუქტურალისტური და პოსტსტრუქტურალისტური ლიტერატურათმცოდნეობა, ფსიქოანალიტიკური ლიტერატურათმცოდნეობა, ფემინისტური და გენდერული ლიტერატურათმცოდნეობა, კულტურისმცოდნეობითი და პოსტკოლონიური ლიტერატურათმცოდნეობა, ემპირიული და კოგნიტიური ლიტერატურათმცოდნეობა და სხვა) და განახორციელებენ ორიგინალურ კვლევას დიაქრონულ (ენის ისტორია, ლიტერატურის ისტორია), სინქრონულ ან კულტურათშორის (კონტრასტული ლინგვისტიკა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) ჭრილში. მათ ასევე ექნებათ შესაძლებლობა, თავიანთ კვლევაში კონცენტრირდნენ არა მხოლოდ ერთ-ერთი ისტორიული პერიოდის ტექსტობრივ მასალაზე (შუა საუკუნეების კვლევები, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევები), არამედ ერთი ან რამდენიმე რეგიონის (საქართველო, დასავლეთ ევროპა) ენობრივ წარმონაქმნებზეც.
სადოქტორო პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებში სამეცნიერო ძიებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის, მიდგომებისა და პრინციპების საფუძველზე და მიზნად ისახავს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც:

- ექნებათ პროგრამის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით თეორიული კონცეფციების და გამოყენებითი მიდგომების ცოდნა, რომელსაც გამოიყენებენ ახალი ცოდნის შექმნის მიზნით;
- მოახდენენ ლინგვისტური და/ან ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, შეარჩევენ შესაბამის მეთოდოლოგიას, შეადგენენ ბიბლიოგრაფიას და განახორციელებენ კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- შექმნიან გამართული ფორმის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს, რომლითაც წვლილს შეიტანენ დარგის განვითარებაში;
- მოახდენენ კვლევის გაზიარებას საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციის დონეზე;
- მზად იქნებიან წარმატებული კარიერისათვის აკადემიურ სფეროში და მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამა ქმნის პლატფორმას ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევრებთან დიალოგში დოქტორანტების ჩართვისა და მათი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული/ს:

1. ფლობს ენათმეცნიერებისა და/ან ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული და გამოყენებითი კვლევითი მიმართულებების თეორიული კონცეფციებს და გამოყენებით მიდგომებს და განიხილავს კვლევის სხვადასხვა ასპექტს შესაბამისი თეორიული ჩარჩოსა და გამოყენებითი პოტენციალის გათვალისწინებით ახალი ცოდნის შექმნის მიზნით;
2. ლინგვისტური და/ან ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ფარგლებში ირჩევს და იყენებს მიმართულების შესაბამის კვლევით მეთოდოლოგიას;
3. ახდენს ლინგვისტური და/ან ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და ახორციელებს მას შესაბამისი ახალი თეორიებისა და მიდგომების გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
4. ადგენს კვლევისთვის საჭირო ბიბლიოგრაფიას, იძიებს ორიგინალურ მასალას და საჭიროებიდან გამომდინარე ქმნის მონაცემთა კოლექციას და/ან კორპუსს;
5. ქმნის გამართული ფორმის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს არსებული აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებით ახალი ცოდნის შექმნის ამოცანიდან გამომდინარე და მიზნობრივად იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს;
6. კვლევის გაზიარების მიზნით, მონაწილეობას იღებს ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ კონფერენციებში, ვორკშოპებსა და სხვა შეხვედრებში; აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს რეფერირებად ჟურნალებში;
7. წვლილი შეაქვს ენათმეცნიერებისა და/ან ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში ცოდნის ტრანსფერის გზით სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

სწავლების მეთოდები

პროგრამა დამყარებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების (Student Centered Teaching and Learning) პრინციპზე. მასში გამოყენებული იქნება ამობრუნებული გაკვეთილის (Flipped Classroom), აქტიური სწავლის (Active Learning) და პროექტზე დაფუძნებული სწავლის (Project Based Learning) მიდგომები.
სალექციო და სასემინარო შეხვედრები ძირითადად დაეთმობა მსჯელობას / დისკუსიას დამოუკიდებლად ან გუნდურად (Collaborative Learning), პრეზენტაციებით, შერეული და ონლაინ- სწავლების (Blended Learning, Online Teaching and Learning) ელემენტებით, დასაშვებია კოლეგიალური შეფასების (Peer Review) ამოქმედებაც, რეფლექსია/თვითშეფასება; ანალიზი და სინთეზი; სუპერვიზია, განმავითარებელი შეფასება და სხვა.

შენიშვნა: პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს დასაქმება შეეძლებათ შესაბამისი პროფილის როგორც აკადემიურ, ასევე საჯარო და კერძო დაწესებულებებში:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- არასამთავრობო ფონდები და ორგანიზაციები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- მუზეუმები და საგამომცემლო დაწესებულებები;
- არქივი, ბიბლიოთეკა;
- მედია (ტელე, რადიო, ციფრული).

შეფასების წესი
სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სადოქტორო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლება. „ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
• უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, Clarivate Analytics, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ProQuest, Oxford Journals და სხვა); • უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა; • ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტში შექმნილი მონაცემთა ბაზები პროსოპოგრაფიის, ეპიგრაფიკისა და კორპუსის ენათმეცნიერების მიმართულებით; • ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი, მისი ბიბლიოთეკა, ცენტრის მიერ შექმნილი ლექსიკონები და კორპუსები; • ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი; • შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი; • სააუდიტორო/სამუშაო სივრცეები; • Erasmus + გაცვლითი პროგრამები დოქტორანტებისთვის; • არგუსი, Elearning და Turnitin-ის სისტემები; • საერთაშორისო სადოქტორო სკოლა; • კვლევების კოორდინაციის სამსახური; • საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.

პროგრამის სტრუქტურა

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 42 კრედიტი *(მათ შორის სავალდებულო 18 კრედიტი (საიდანაც დოქტორანტმა 6 კრედიტი უნდა აიღოს სავალდებულო-არჩევითი ბლოკიდან მისი კვლევის მიმართულების შესაბამისად (ლიტერატურა ან ენათმეცნიერება) და 24 კრედიტი - არჩევითი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. სურვილის შემთხვევაში, დოქტორანტს შეუძლია სავალდებულო არჩევითი საგნების ბლოკიდან თავისი მიმართულების მომიჯნავე კურსის გავლა. ასევე, მას შეუძლია გაიაროს კურსი ილიას უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სადოქტორო პროგრამებიდან),* გამოაქვეყნოს 2 სტატია, რომელთაგან მინიმუმ ერთი, უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სტატიებთან დაკავშირებული მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში)და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. პროგრამის სტრუქტურა მოცემულია ცხრილის სახით.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს, რომელიც ადმინისტრირებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ 2 ტრენინგი. დოქტორანტებს ტრენინგი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას.

კომპონენტები	სემესტრები										ECTS
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სავალდებულო კურსები/კომპონენტი - 12 კრედიტი											
	■	■	■	■	■	■	■				
ასისტირება*		■	■	■	■	■	■	■	■		12
პროსპექტუსი	■	■									
სადოქტორო კოლოკვიუმები		■	■	■	■	■	■	■	■		--
სადოქტორო ნაშრომი **						■	■	■	■		--
სავალდებულო არჩევითი კომპონენტები - 6 კრედიტი											
ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები****	■	■	■	■							6
ლინგვისტური კვლევის მეთოდები***	■	■	■	■							6
არჩევითი კომპონენტები - 24 კრედიტი											
კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები	■	■	■	■	■	■					12
კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები	■	■	■	■	■	■					12
ჟესტური ენები	■	■	■	■	■	■					6
თარგმანის კვლევის მეთოდები	■	■	■	■	■	■					6
ნარატივის თეორია	■	■	■	■	■	■					12
ინტერპრეტაციის თეორიები	■	■	■	■	■	■					6
ტრავმა ლიტერატურასა და კულტურაში: თეორიული პოზიციები და ანალიტიკური მიდგომები	■	■	■	■	■	■					6
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი	■	■	■	■	■	■					6
Writing for Academic Publication****					■	■	■	■	■		6

კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში******											6
ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები											
კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა											-
და/ან											
სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება											-
გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება											-
ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება											-
სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები											-
აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე											-
ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი											-
ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში											-
სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით											-
სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური სხვა ტრენინგ კურსი											-
											სულ 42

**სწავლების ასისტირების წინაპირობაა პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგის კურსის გავლა; კვლევის ასისტირების წინაპირობაა პროსპექტუსის დაცვა;*

***სადოქტორო ნაშრომის წარდგინება დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების, მათ შორის, კოლოკვიუმის შესრულებისა და პუბლიკაციის გამოქვეყნების, ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.*

****ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს ექნება არჩევითი კურსის სტატუსი ენათმეცნიერების მიმართულების სტუდენტებისათვის; ლინგვისტური კვლევის მეთოდებს ექნება არჩევითი კურსის სტატუსი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებისათვის;*

*****კურსის Writing for Academic Publication გასავლელად დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი და შეგროვებული უნდა ჰქონდეს კვლევის მონაცემები.*

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების მეორე სემესტრიდან. მისი მიზანია, უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია და შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმი ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და სხვა; მომიჯნავე დარგების დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის, კვლევის ხელმძვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. კოლოკვიუმის

სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია კოლოკვიუმის შესახებ იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში).
დოქტორანტმა აუცილებლად უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი.

პირველი წლის განმავლობაში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. პროსპექტუსი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე.
პროსპექტუსზე მუშაობის განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების და კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან უწევს ტუტორობას. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის მოძიება, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა, შედეგების შეგროვება და ანალიზი და ა.შ.

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ **ორი სამეცნიერო სტატიისა,** მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

სადოქტორო კვლევა ხორციელდება აკადემიური და კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების დაცვით. ამის გათვალისწინებით დოქტორანტმა უნდა გაიაროს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ტრენინგი ,,კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა''.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადოქტორო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადოქტორო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია).

პროგრამის სემესტრული გეგმა						
კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათებis განაწილება	კრედიტი	სემესტრი შემ/გაზ	
სავალდებულო კურსები/კომპონენტები (12 კრედიტი)						
პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ 2 ტრენინგ კურსი	-		-	-	x	x
ასისტირება	ტრენინგის კურსი	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდ.	12	x	x
პროსპექტუსი				-		X
სადოქტორო კოლოკვიუმი			ინდ.	-	X	X
სადოქტორო ნაშრომი				-	X	X
სავალდებულო-არჩევითი კომპონენტები - 6 კრედიტი						
ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები		ბელა წიფურია ლევან ცაგარელი ათინათ მამაცაშვილი ნინო ფირცხალავა	32	6	x	x
ლინგვისტური კვლევის მეთოდები		ირინა ლობჟანიძე	32	6	x	x
არჩევითი კომპონენტები (24 კრედიტი)						
კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები		ირინა ლობჟანიძე	54	12	**x**	**x**
კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები		ირინა ლობჟანიძე	56	12	**x**	**x**
ჟესტური ენები		თამარ მახარობლიძე	30	6	**x**	**x**
თარგმანის კვლევის მეთოდები		ნინო მატარაძე	30	6	**x**	**x**

ნარატივის თეორია		ლევან ცაგარელი	30	12	x	x
ინტერპრეტაციის თეორიები		ლევან ცაგარელი	30	6	x	x
ტრავმა ლიტერატურასა და კულტურაში: თეორიული პოზიციები და ანალიტიკური მიდგომები		ლევან ცაგარელი	30	6	x	x
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი		შესაბამისი კურსის ხელმძღვანელი	ინდ.	6	x	x
Writing for Academic Publication	-	მაია როგავა	18	6	x	x
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში		სოფიკო ლობჟანიძე	32	6	x	x

ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი			
	სახელი და გვარი	*სტატუსი*	*ელექტრონული ფოსტა*
1	ნინო დობორჯგინიძე	პროფესორი	nino_doborjginidze@iliauni.edu.ge
2	ირინა ლობჟანიძე	პროფესორი	irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge
3	რეზო მარსაგიშვილი	პროფესორი	rezo_marsagishvili@iliauni.edu.ge
4	თამარ მახარობლიძე	პროფესორი	tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge
5	თამარ სუხიშვილი	ასოცირებული პროფესორი	tamar.sukhishvili@iliauni.edu.ge
6	ლევან ცაგარელი	პროფესორი	levan_tsagareli@iliauni.edu.ge
7	ბელა წიფურია	პროფესორი	bela_tsipuria@iliauni.edu.ge
8	ირმა ყარაულაშვილი	ასოცირებული პროფესორი	irma_karaulashvili@iliauni.edu.ge

9	ათინათ მამაცაშვილი	პროფესორი	atinati_mamatsashvili@iliauni.edu.ge; tina_mamatsashvili@iliauni.edu.ge;
10	ლევან ბერძენიშვილი	პროფესორი	levan.berdzenishvili@iliauni.edu.ge
11	ირინა ლორთქიფანიძე	ასოცირებული პროფესორი	irina.lortkipanidze@iliauni.edu.ge
12	რუსუდან გერსამია	ასოცირებული პროფესორი	rgersamia@iliauni.edu.ge
13	ნინო ფირცხალავა	პროფესორი	nino_pirtskhalava@iliauni.edu.ge
14	თინათინ მარგალიტაძე	პროფესორი	tinatin.margalitadze@iliauni.edu.ge
15	ელენე ტატიშვილი	ასოცირებული პროფესორი	elene.tatishvili@iliauni.edu.ge
16	ანა კორძაია-სამადაშვილი	ასოცირებული პროფესორი	ana.kordzaia.samadashvili@iliauni.edu
17	მაია თევზაძე	პროფესორი	maia_tevzadze@iliauni.edu.ge
18	ნინო მატარაძე	ასოცირებული პროფესორი	nino.mataradze@iliauni.edu.ge
19	ნინო თევდორაძე	ასოცირებული პროფესორი	nino_tevdoradze@iliauni.edu.ge
20	ნინო ცერცვაძე	ასოცირებული პროფესორი	nino_tsertsvadze@iliauni.edu.ge
21	ნინო გულიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	nino.guliashvili@iliauni.edu.ge
22	პაატა ჩხეიძე	პროფესორი	paata.chkheidze@iliauni.edu.ge
23	ცირა კილანავა	ასისტენტ პროფესორი	tsira.kilanava@iliauni.edu.ge
24	მარიეტა ჩიხლაძე	ასისტენტ პროფესორი	marietta.chikhladze@iliauni.edu.ge

25	სალომე პატარიძე	ასისტენტ პროფესორი	salome.pataridze@iliauni.edu.ge
26	სოფიკო ლობჟანიძე	პროფესორი	sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge
27	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge